# სახალხო გაზეთი

№ 888 სამშაბათი, 7 მაისი 1913 წ. № 888

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის-მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

უცხოეთის მწერლები — კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა და ჰენრ. სენკევიჩის თხზულებები.

ქართველი ერის ისტორია — პროფ. ივ. ჯავახიშვილისა. სურათებითა და საქართველოს რუქით.

სურათებიანი დამატებით

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ)

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „უცხოეთის მწერლები“ და „ქართველ ერის ისტორია“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.

(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.


სვიმონ და ანდრია გრიგოლის ძენი და ანასტასია და ელისაბედი გრიგოლის ასულნი კლდიაშვილნი, ნინო გრიგორის ასული აბაშიძისა და მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილისა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 მაისს გარდაიცვალა პირველის, მეორის და მესამის დედა და მეოთხის დედამთილი

**ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს შვიდ საათზედ: ვერაზე, ფიქრის გორა, კლდიაშვილის სახლი. გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 8 მაისს, დილის 9½ საათზედ ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება იმავე ეკლესიის სასაფლაოზედ. 267

მეუღლე ანნა ელიაზარ თულაშვილის ასული გარსევანიშვილისა, შვილები: ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, სალომია ალექსანდრეს ასული გარსევანიშვილები, ანასტასია ალექსანდრე გარსევანიშვილის ასული რობაქიძისა და სიძე სერგეი ისიდორის ძე რობაქიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ალექსანდრე სიმონის ძის გარსევანიშვილის**

სულის მოსახსენებლად დანიშნულია ხუთშაბათს, 9 მაისს, ქ. გორში, ოქონის ეკლესიაში. 1195

9 მაისს, ხუთშაბათს, ქ. თელავის საკრებულო ტაძარში წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

**ელისაბედ რომანოზის ასული ვახვახიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები.


ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ქართ. კულტ. მოყვ. რულ. საზოგადოება.**

ხუთშაბათს, 9 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება მესამე საჯარო სხდომა ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოებისა. კრების საგანს შეადგენს:

**პოეტ ვახტანგ ორბელიანის და მის პოეზიის გაცნობა.**

წაიკითხავენ მოხსენებებს ვახტანგ ორბელიანის შესახებ ბ-ნნი კიტა აბაშიძე, დავით კასრაძე და ნიკოლოზ ჩიგოგიძე. ვახტანგ ორბელიანის რჩეულ ლექსებს თ-დი ნ. დ. ერისთავი და ქართულ სცენის მსახიობნი ი. იმედაშვილი, კ. ყიფიანი და სხვა. ნიკ. სულხანიშვილის გუნდი (75 სული აგან შემდგ რი), შეასრულებს ქართულ ეროვნულ სიმღერების კილოზე გადაღებულ ვახტანგ ორბელიანის ლექსებს და სხვა სიმღერებს, (სხვათა შორის, რ. ერისთავის „ს მშობლო ხევსურისა“). 1192

**ახალი კლუბი**

**საოჯახო საღამო**

დღეს, 7 მაისს ქ-ნის ტ. ი. საბანეევისა და ბ-ნ ი. პ. სარაჯიშვილისა და ტ. ს. ორდას მონაწილეობით გაიმართება საოპერო წარმოდგენა. წარმოდგენ. იქნება

**ლაკმე**

ოპერა 3 მოქ., მუსიკ. დელიბასი.

კლუბის გაძლიერებულ და ახალ სიმფონიურ ორკესტრას დირიჟორობს ვ. ი. ზელიონი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10-დან ნაშუადღევ. 2 ს.-დედა საღ. 6—10 ს. ადგილ. ფასი 3 მ. 50 კ.—75 კ.-დე. ქანდარა ყველასთვის ხელმისაწვდომია. სტუმრები კლუბში შესასვლ. იხდიან კაცები 50 კ., ქალები 25 კ.

დასაწყ. საღამ. 8-ნახ. ს. 1162

ქართლის საუკეთესო მამულში,

რვა ვერსის მანძილზე ქსნის სადგურიდან, სოფელ მუხრანში,

**ამლევენ იჯარით**

**მოსავალს ხეხილის ბაღისას,**

ზომით ორმოცი დღიურისას, საუკეთესო საზღვარ-გარეთული მსხალი და ვაშლები. პირობები გაიგება მამულის კანტორაში. მისამართი წერილებისათვის—მუხრანის ფოსტის განყოფილება. 268



**ჟურნალისტთა კლუბი**

მიხეილის პროსპ. № 66.

ამ დღეებში გაიხსნება თეატრი და ბაღი. 1193

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარქევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.<br>სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 10½—11.<br>ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნ. | მუსხელიშვილი [illegible] |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ. ღავათიანი საფასურით. წ. 1035

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

**შპალიერის (ОБОИ) ქარხანა**

**ძმ. ტარნოპოლენისა.**

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

3 ოქროს მედალი ...-ის გამოფენაზე 1910 წ.

**ამერიკულ ვაზის სანერგეები**

**„გიორგის შრომა“**

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ 11—1½ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელია ისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1053

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 29. წ. 1082

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 19

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სამედიცინო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. ვენერ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი,**

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის ახლოს.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმი** ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კალოუბნის ქ. № 6.

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu.

იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილის,ი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**საბურთალოზე**

მშვენიერ ადგილას,

[illegible] ლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ბუფეტი „სატივო“**

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

აზიური საჭმელები

ახალის სანოვაგისა

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. ფასები ძლიერ ზომიერია. 1114


## ახალი ამბავი

### ტფილისი

**დავით ეპისკოპოსის შემოწირულება.** როგორც გვატყობინებენ, ყოვლად სამღვდელო დავითს ორასი მან. შეუწირავს ატენის უძველეს ტაძრისათვის, რომლის სიდიადის, ისტორიულ მნიშვნელობისა და დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ბევრჯერ დაწერილა ჩვენს გაზეთში. ფულები უკვე მიუღია ადგილობრივ მღვდელს გაბრიელ ედილაშვილს. შემომწირველს ჰსურს, რომ ამ ოცი თუმნით დიდებულ ნაშთს გაუკეთდეს კარ-ფანჯრები და სახურავი გასუფთავდეს ხეებისაგან, რომელიც ჟამთაგანმავლობაში ბლომად და თავისუფლად ამოსულა სახურავზე და ჩანგრევას უქადის. ამნაირად ეს სასიქადულო ნაშთი ეროვნულ ხელოვნებისა მოკლე დროით მაინც უზრუნველყოფილია განადგურებისა და პირუტყვის უსუფთაობისაგან. შემდეგში კი ყოვლად სამღვდელო, თუ მისი ქონებრივი მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, აპირობს ამ ტაძრის უფრო ვრცელ შეკეთებას.

**ექსკურსია.** 4 მაისს კუკიის მესამე საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლის მოსწავლენი სკოლის ზედამხედველის ე. ზ. შანშიევის ხელმძღვანელობით ტფილისიდან ბათომს გაემგზავრნენ. მოსწავლენი ტფილისში დღეს დაბრუნდებიან.

**საქალაქო სკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელთა** დანიშვნისა და დათხოვნის შესახებ ქალაქის გამგეობამ მთელი მასალა ცალკე წიგნად დანიშნა და განსახილველად ქალაქის საბჭოს დღევანდელ კრებას წარუდგენს.

ორშაბათს, 13 მაისს, საღამოს 9 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლში გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას, წაკითხულს მის მიერ პეტერბურგში, თემაზე: **„უთავისუფლობა ნებისა (დეტერმინიზმი)“**. ადგილების ფასი ორი მანეთიდან 5 კ.-მდე. ბილეთები იყიდება დღეიდანვე სახალხო სახლის კასაში.

### საზოგადოებანი და კრებები

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობის ახალ წევრთა პირველი კრება 4 მაისს მოხდა. გამგეობამ ჩაიბარა ძველის გამგეობისაგან მთელი საქმეები და შემდეგ ერთმანეთს შორის თანამდებობის პირნი აირჩია. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს: თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, მის ამხანაგად—თ-დი ნ. ერისთავი, ხაზინადრად და მდივნად—ა. ნ. ავალიშვილი და ადმინისტრატორად—ი. გედევანიშვილი.

დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალთა უმაღლეს კურსების სადგომში კრება მოხდება **ისტორიისა, ეთნოგრაფიისა და ენათა შესწავლის საზოგადოებისა.** კრება მოისმენს ორ მოხსენებას: ა. ვ. ხელიაევისას „სლომანსკისა „მუსულმანური [illegible]“ და კავკასიის ისტორიის შესასწავლად“.

**ქალაქის საბჭოს** კრება დღესასწაულის გამო გუშინ არ მომხდარა. ამიტომ კრება დღეისათვის დაინიშნა. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს: რა ფასად მისცეს დაწესებულებებსა და კერძო პირთ ელექტრონის ძალა ქალაქის საელექტრონო სადგურიდან.

შაბათს, 4 მაისს, დეპუტატთა საკრებულოში გაიმართა ქართველ ქალთა კრება, რომელსაც ასამდე ქალი დაესწრო. კრება ფრიად ცხოველი იყო და ცხარე კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, ქართველმა ქალებმა საკუთარი საზოგადოება დაარსონ, თუ ავტონომიურ სექციად შევიდნენ კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში. დიდი უმრავლესობა მიემხრო პირველ აზრს, მით უფრო, რომ ავტონომია, რომელსაც დასთანხმდნენ კავკასიელ ქალთა საზოგადოების მეთაურნი, მეტად შეზღუდული გამოდიოდა. კრებამ დაადგინა, მოკლე დროში დააარსოს ქართველ ქალთა საზოგადოება, რომლის საგანი იქნება ჩვენი ქალების ზნეობრივ-გონებრივი განვითარება და მუშაობა ქალთა თანასწორობისთვის, და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი საზოგადოების წესდებისა.

### სასწავლებლებში

გუშინ „განათლების“ სკოლაში გაიმართა სამუსიკო-სალიტერატურო დილა. მოსწავლეებმა შეასრულეს ლექსები და სიმღერები. გამოფენილი იყო მოწაფეთა ხელსაქმე, რომელიც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. დაწვრილებით ანგარიშს ხვალ მოვათავსებთ.

### სასამართლო

**თავ. კირილე ლორთქიფანიძისა და სხვათა საქმე.** გაზეთ „კავკაზ“-ის დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „სენატმა უშედეგოდ დასტოვა საკასაციო საჩივრები ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარისა თავ. კირილე ლორთქიფანიძისა და გამგეობის წევრისა დ. ბაქრაძისა, რომელთაც სამოსამ. პალატამ ამას წინად მიუსაჯა 3½ წლით დაპატიმრება. განაჩენი გამგეობის წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთა კოკოჩაშვილის და ფირალოშვილის შესახებ, რომელთაც ოთხ-ოთხი თვით მიუსაჯეს დაპატიმრება, გაუქმებულ იქმნა და სასამართლოს გადაეცემა ხელმეორედ გასარჩევად“.

### სომეხთა ცხოვრება

✦ დღეს, 7 მაისს, ტფილისის სომხის საზოგადოება არტისტიულ საზ. თეატრში გადაიხდის თვისის ნიჭიერის მსახიობის გ. ტერ-დავითიანის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეის. მსახიობი გ. ტერ-დავითიანი ტფილისელია და გამოჩენილი აღმსრულებელია განსვენებულ დრამატურგის გ. სუნდუკიანის კომიკურ როლებისა.

პიესა „პეპოში“ იგი შეუდარებლად სთამაშობს გიქოს როლს, რომელსაც სხვათა შორის შეასრულებს იუბილეის ღამეს.

✦ კვირას, 5 მაისს, ხოჯივანქის სასაფლაოზე, კავკასიის სომეხ მწერალთა საზოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი სომხის ცნობილ რომანტიკოსის რაფფის გარდაცვალების 25 წლის თავზე.

### სოფლად.

✦ **სეტყვა.** როგორც ვწერდით, ქვემო ნიჩბისში (გორის მაზრა) საშინელი სეტყვა მოვიდა. გვატყობინებენ დაწვრილებით ცნობებს: სეტყვას გადმოუვლია თელათ-გორსა, ზემო-ნიჩბისსა და ბოლოს ქვემო ნიჩბისში, სადაც სულ გაუნადგურებია ნათესები, დაუმტვრევია ხის ტოტები და ამოუწყვეტია შინაური ფრინველები. ბევრს კაცსა და ქალს სეტყვამ თავები გაუტეხა.

# ილიას ძეგლის კურთხევა

## დილით

იშვიათს დიდებულ სურათს წარმოადგენდა მთაწმინდა კვირას, 5 მაისს. ეკლესიასა, გალავანსა და გალავანს გარედ მრავალ ხალხს მოეყარა თავი და ერთი აზრით, ერთის ფიქრით გამსჭვალულიყო. მთაწმინდის გრძელსა და ძნელად ასასვლელ გზაზე დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე ხალხის დენა არ შემწყდარა.

დილითვე კარგი ამინდი იყო, შემდეგ ჩამოცხა, მაგრამ დღესასწაულისთვის ოდნავაც არ შეუშლია ხელი, რადგანაც ყველას თვალწინ უდგა უდროოდ დაკარგული უდიდესი შვილი ივერიისა და აქ მოსულიყო, მის წინაშე თავის წმინდა მოვალეობის მოსახდელად და სინანულის ცრემლის დასაფრქვევად.

ასე გაეერთსულოვნებინა სხვა და სხვა წრისა და მდგომარეობის ხალხი და აქ მოეყვანა ილიას ხსოვნას. ძეგლი საგანგებოდ მორთული იყო ყვავილებით და ზედ გადაფარებული ჰქონდა თეთრი ტილო.

დილის 9 საათზე ყოვლად სამღვდელო ანტონიმ, ეპისკოპოსმა გორისამ, მამადავითის ეკლესიაში წირვა დაიწყო. თანამწირველნი იყვნენ: არქიმანდრიტი ნაზარი, მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი ნ. მაჭარაშვილი, ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი კ. ცინცაძე, დეკ. გ. ასათიანი, ტარასი ბერი და მღვდელი ვ. ხახიშვილი. წირვის დროს, „განიცადე“-ზე მგრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ნ. მაჭარაშვილმა.

წირვა შუადღის 12 საათზე დასრულდა და შემოსილი სამღვდელოება ეკლესიიდან გალავანში გამოვიდა ილიას საფლავზე პანაშვიდის გადასახდელად. ძეგლის წინ დამწკრივდა სამღვდელოება, რომელსაც მოემატა სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი იეროფეი, არქიმანდრიტი პიროსი, დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მირიანაშვილი და ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი თალაკვაძე. მათ შემდეგ იდგნენ სხვა და სხვა ქალაქისა და საზოგადოების წარმომადგენელნი და ფილარმონიულ საზოგადოების ხორო, რომელსაც ლოტბარობდა ზაქ. ჩხიკვაძე.

პანაშვიდის დაწყებამდე ეპისკოპოსმა ანტონიმ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც მკაფიოდ დაახასიათა განსვენებულის პიროვნება და მოღვაწეობა.

ამის შემდეგ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრმა დ. კარიჭაშვილმა გადასცა დამსწრეთ მოკლე ისტორიული ცნობები ილიას ძეგლის შესახებ, მხურვალე მადლობა გადაუხადა ყველა იმ დაწესებულებას, რომელმაც ხელი შეუწყო ძეგლის დადგმის განხორციელებას და ეპისკოპოს ანტონსა სთხოვა, ეკურთხებინა ძეგლი.

პანაშვიდის შემდეგ გამოჩნდა მხცოვანი მგოსანი აკაკი, დიდებული თანამედროვე დიდებულ ადამიანისა და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბ. ბ. მრავალ-მეტყველება და ბევრი მითითება არ არის საჭირო იმისთვის, ვინც სიცოცხლეშივე ძალა-უნებურად ჩაესახა თვალსა და გულში მის თანამედროვობას.—ამისთანას ეკუთვნოდა ისიც, ვისაც პატივსაცემლად დღეს აქ შევკრებილვართ. თვალ-წინ გვიდგია მისი ვერაგული სიკვდილი და გვიკვირს, თუმცა კი გასაკვირი არა არის რა: ქრისტე მაცხოვარმა თორმეტი მოციქული აირჩია მთელ კაცობრიობაში და იმათთაგანი ერთი იუდა გამოდგა!—სადაც ვარდი იფურჩქნება, იქ ეკალიც ამოდის! ადამიანებშიაც ასეა: შეგნებულებს შეუგნებლები უდგიან გვერდში და აი, სწორეთ ამისთანებმაც ჩაიდინეს უსამართლობა!—დიახ, ჩაიდინეს, მაგრამ მათ-და უნებურად შესძინეს კიდევ ერთი გვირგვინი მწუხარებისა და გულ-დაწყვეტისა, რომელსაც ეს ძეგლი გვიხატავს: მთელი შეგნებული ქართველობა იგლოვს და სტირის თავის დაუვიწყარ შვილის დაკარგვას. იდეის მხრით დიდია ეს ქანდაკება და ამას ახლავ თქვენის თვალითაც ჰნახავთ“.

ამის შემდეგ მგოსანმა ძეგლს ფარდა ჩამოჰხადა.

აკაკის სიტყვას მოჰყვა მეტად მგძნობიერე სიტყვები: ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლის გ. დ. ჟურულისა და სომხურ გაზეთ „მშაკ“-ის რედაქტორის ა. ა. ქალანთარისა.

დასასრულ ქვითინით სიტყვა წარმოსთქვა შავის ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელმა, ბელეტრისტმა დ. კლდიაშვილმა, რომელმაც მუხლი მოიდრიკა დიდებულ ადამიანის ძეგლის წინ. მოგვყავს სიტყვა:

„დიდებულო ქართველო, კაცთმოყვარეობით გულ-აღვსილო ადამიანო! როცა შენი ძვირფასი სამშობლოს ბეჩავი მდგომარეობით დამწუხრებული ეკითხებოდი მას „მამულო საყვარელო შენ როსღა აყვავდები?“ რას წარმოიდგენდი, რომ შენი მამულის ასაყვავებლად, თურმე, შენ უნდა შეწირულყოფილიყავი მსხვერპლად. და კიდეც შეგიწირა მამულმა... შენი უცნაური სიკვდილით შეძრწუნებული ქართველი, გონს მოსული, გამოფხიზლებული ასაყვავებლათაა გამზადებული და იგი კიდეც აყვავდება. და იმ ბედნიერ დღეს ქართველობა მოვა შენთან მოგახარებს შენი საყვარელი მამულის აყვავებას. მაგრამ იმ ჟამს მისი გული მწუხარებით იქნება ალსავსე, რომ შენ მსხვერპლად შეგიწირა შენი სისხლით მოიპოვა თვისი ბედნიერება და იმ ბედნიერ ჟამსაც, როგორც ახლა, ვედრებით მოგმართავთ გვაპატიო, სულგრძელათ მოგვიტევო ჩვენგან შენი ასეთი საშინელი მსხვერპლათ შეწირვა, ჩვენო დიდებულო, ჩვენთვის სისხლ დანთხეულო, მწუხარებაშიაც და ბედნიერებაშიაც ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარო, ძვირფასო ილია!“

ძეგლის კურთხევას დაესწრნენ: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. აფხაზი, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ნ. ი. საგინაშვილი, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის წევრები თავმჯდომარის ამხანაგ ა. ბ. მდივანის მეთაურობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრნი, ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელნი, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის მეთვალყურე კომიტეტისა და გამგეობის წევრნი, ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი გ. დ. ჟურული და მ. ნ. ათაბეგოვი, ტფილ. ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო, ახალ კლუბის მამასახლისნი თ-დი ი. გ. თარხნიშვილი და თ-დი მ. ჭავჭავაძე, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი, განსვენებულ ილიას და ე. გ. საგინაშვილისა და ნათესავნი გენერლები ივანე და ირაკლე ჭავჭავაძენი, „სახალხო გაზეთის“ რედაქცია, „მშაკის“ რედაქტორი ა. ა. ქალანთარი, „რუსსკოე სლოვოს“ წარმომადგენელი ი. დ. კოშიანოვი, ჟურნალ „თარაზ და აგბიურის“ რედაქტორი, ტფ. ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი ი. ს. ღულაძე, წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელი იასონ ბაქრაძე, გაზეთ „კოლხიდისა“—დ. მესხი, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელნი: კიტა აბაშიძე, დ. კლდიაშვილი და სვ. წერეთელი, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებისა—ა. კრინიცკი, წ.-კითხვის სოხუმის განყოფილებისა—ი. ზ. ცეცხლაძე და ი. ნ. მიმინოშვილი, „სალოფლო გაზეთისა“—აპ. წულაძე, წ.-კ. თელავის განყოფილებისა—ქეთევან რუსიშვილისა, გორის ქალაქის თვითმმართველობისა—ზ. ქიტიაშვილი, წ.-კ. გორის განყოფილებისა—ივ. კვალიაშვილი და მღვდელი ა. კასრაძე, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა—თ-დი მ. ფაღავა და ი. ფანცხავა, წ.-კ. სამტრედიის განყოფილებისა—ისიდორე სტუ[illegible]უა, წ.-კ. კავკავის განყოფილებისა—გრ. ბურდული და სხვანი.

განსვენებულის ძეგლი ვერცხლის გვირგვინით შემკო ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა. ცოცხალ ყვავილების გვირგვინები იყო: ტფ. ქალაქის თვითმმართველობისაგან, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან, „სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, ახალ კლუბისაგან, ტფ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან და საარტისტო საზოგადოებისაგან.

ძეგლის კურთხევა ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა, მაგრამ ხალხი 4 საათამდე არ დაშლილა. თუმცა ხალხი მეტის მეტად მრავალი იყო, ადგილი კი ვიწრო და პატარა, წესიერება მაინც ოდნავადაც არ დარღვეულა.

## საღამოთი

წ.-კ. საზოგადოების მიერ, ილიას ხსოვნის პატივსაცემლად, გამართულმა საღამომ, დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით და ბევრიც უკან დაბრუნდა უადგილობის გამო. დამსწრეთა შორის იყვნენ პროვინციიდან ჩამოსული წარმომადგენლები სხვა და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა.

ფარდა აიხადა 9 საათზე. შუა სცენაზე გამოჩნდა დიდი სურათი ილიასი, მშვენივრად მორთული ყვავილებითა და მცენარეებით. აქეთ-იქით სურათს უდგნენ საპატიო დარაჯნი—ქულაჯებში გამოწყობილი ახალგაზდები.

გაისმა შოპენის სამგლოვიარო მარშის სევდიანი ჰანგი და მთელი საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, მაშინვე ფეხზე წამოდგა და ისე, ფეხზე ადგომით მოისმინა მთელი მარში, რომელიც შეასრულა „ახალ კლუბის“ სიმებიანმა ორკესტრმა ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით. შემდეგ, პოეტმა ირ. ევდოშვილმა, სურათს მიჰმართა და გრძნობით წაიკითხა თავისი ლექსი, ჩვენს გაზეთში გუშინწინ დაბეჭდილი. ამ ლექსსა და აგრეთვე ცახელის ლექსს, თავ. ნ. დ. ერისთავის მიერ წაკითხულს, საზოგადოება ალტაცებით მიეგება. იმავ ორკესტრმა, ამის შემდეგ, ფილარმონიულ ხოროსთან ერთად, შეასრულა სადღესასწაულო კანტატა ზაქ. ფალიაშვილის ლოტბარობით. პირველი განყოფილება დასრულდა ბ-ნ ნ. სულხანიშვილის გუნდის სიმღერით: იმღერეს კახური ჰიმნი (კახურ „მრავალჟამიერის“ კილოზე) და სხვა ხალხური სიმღერა, რომლებიც დამსწრეთ ძალიან მოეწონა.

მეორე განყოფილება შესდგებოდა გრ. რობაქიძის ლექციიდან „ილია ჭავჭაძე და საქართველოს ტრაგედია“. ნიჭიერმა ორატორმა გადაგვიშალა სურათი ქართველ ერის ისტორიის ტრაგედიისა, მისი სულისკვეთება; დაგვიხასიათა ისტორიული პიროვნება ილია ჭავჭავაძისა და აღმაფრთოვანებელ სიტყვებით დაათავა ლექცია: ილია ჭავჭავაძემ თავის სიკვდილით დიადი მსხვერპლი შესწირა ქართველთა აღორძინების საქმესაო; დასრულდა ტრაგედია, იწყება აღორძინების რენესანსის ხანაო. საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ჩვენი ძქერმეტყველი ლექტორი.

შემდეგ ლექციისა გაგრძელდა სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება. წაიკითხეს ნაწყვეტები ილიას პოემებიდან თავ. ნ. ერისთავმა და ცაცა ამირაჯიბმა. სხვა და სხვა სიმღერა აასრულეს ფალიაშვილისა და სულხანიშვილის ხოროებმა. ამავ განყოფილებაში დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათი პოემა „განდეგილი“-დან.

უკანასკნელ განყოფილებაში დადგმულ იქმნა ბ. კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით ილიას დრამატიული ეტიუდი „დედა და შვილი“ ქ-ბ. ც. ამირაჯიბისა და ბ. მგალობლიშვილის მონაწილეობით. ახალის დეკორაციითა და მიზანსცენით, მუსიკის ნაზი აკომპანიმენტით, დადგმულმა პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევის გამო შემდეგი დეპეშები მიიღო:

„ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოება თქვენთან ერთად ლოცულობს საქართველოს სახელოვან მგოსან ი. გ. ჭავჭავაძისთვის; გამგეობის თავმჯდომარე **რაევსკი**.

სენაკის განყოფილება სიამოვნებით ეგებება ქართულ აზროვნების უკვდავ ძეგლის შემქნელს, ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევას.

**გამგეობა.**

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან.

„გილოცავთ გენიოს ქართველ მწერლის და საზოგადო მოღვაწის ძეგლის კურთხევის დიად დღეს“.

**მიქელაძე.**

# ცხოვრება და ხელოვნება

**(1912 წლ. ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერი)**

„გრდემლის“ კრებულები: ივენი ახალგაზდა მწერლები: ა. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. უმბაძე, ჯ. ჯორჯიკია და სხვ.

როცა ახალგაზდობის შესახებ სწერ ძალაუნებურად ძველი და დაბერებული, ხანს გადასული გახსენდება. ძველის გახსენება ცხოვრების ერთგვარ მიმდინარეობას დაგიყენებს თვალ-წინ: ყოველივე იცვლება, ყოველივე დავიწყების უფსკრულისკენ მიექანება, ყოველივეს სიკვდილის ფერი ედება, თუმც ყოველივეს თავისი ნაყოფი გამოაქვს და ყოველივეს თავისი მომავალი და მაგიერი ჰყავს. უკვდავი შოთას სიტყვები ყურში გაისმის ძლევა-მოსილობითა და თითქმის სატანურის დაცინვით:

„რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
„იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.

და რა მშვენიერ ადგილსა აქვს რუსთველს ეს სიტყვები, ვის არ ახსოვს როსტევანის „საუბარი“ მის „ვეზირებთან“

„უბრძანა: „გკითხავთ საქმესა ერთგან სასაუბაროსა...
მე გადავსულვარ, სიბერე—მჭირს ჭირთა უფრო ძნელია
დღეს არა ხვალე მოვკვდები, სოფელი ასე მქნელია
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.
ძე ჩემი დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

აბა ეხლა გავიგონოთ ვეზირთა პასუხი, ბრძნულის ქათინაურით შეზავებული რომელიც სიმართლესა და საფუძვლიანობასაც არ არის მოკლებული:

„ვეზირთა ჰკადრეს, „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა,
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,
მისივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა,
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან, ვითამცა ჰკადრა მტერობა“.

მაგრამ კარის კაცთა სიტყვის მლიქვნელობის არშიაც უნდა ერტყას და მშვენიერსა და დინჯს პასუხსაც ერთ ადგილასა აქვს ფონი და სწორედ იქ ახრჩობს. საქმე ხომ იმაში გახლავსთ, რომ როსტევანი ვარდს ყვავილ დამჭკნარს, ადარებს სხვა ახალ ვარდს და არა სხვას რასმე. ვეზირები კი სიტყვას ხელოვნურად ატრიალებენ და მოახსენებენ:

„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა
მისივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან, ვითამცა ჰკადრა მტერობა“.

მაგრამ მთვარეს მცხრალს თუ გაბადრულ მთვარეს დაუპირდაპირებთ და ყვავილ გაშლილ ვარდს ყვავილ დამჭკნარს სულ სხვა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

რასაკვირველია, „ვარდის ტურფა ფერობა“ კიდევ სჯობს სხვა ბევრს რასმე და რომ მთვარე მცხრალი, კიდევ გაუძლებს ვარსკვლავის მტერობას, ხოლო როცა პირ გავსებულ მთვარესა ვხედავთ და ახლად გაფურჩვნილს ვარდს, როსტევანის მწარე მაგრამ სიყვარულითა და სასოებით შეზავებული სიტყვები კიდევ ერთხელ უნდა განვიმეოროთ:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმო!, დაამჭკნაროსა,
„იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.“

ულმობელს კანონს ბუნებისას უნდა დავემორჩილოთ და ტურფა საბაღნაროს მოსულ ახალ ვარდთა უნდა მივაქციოთ ჩვენც ყურადღება, რომელთა შესახებ კიდევ შოთას მხატვრული ენა რომ მოვიშველიოთ ასე უნდა ვსთქვათ:

„შუქთა მათთაებრ საქმეცა, მათი მზებრ განაცხადია“. პირველი ადგილი მას დაუთმოთ ვინც ცხად ჰყო, რომ ქართველი ერის სულმნათის ლექსის უკვდავი ძლიერება და სამარადისო გავლენა ქართულს ლიტერატურაზე სიკვდილზე უფრო ძლიერია და სიყვარულზე უფრო ცხოველმყოფელი. მაგრამ რა ვსთქვი ესა? ნუ თუ შოთას ღვთაებრივი სახელის ხსენების გაბედვაც კი შეიძლება. შოთა და მისი „ვეფხის-ტყაოსანი“. ეს ხომ ქმნილებაა მთელის ქართველის ერის ბედნიერის ცხოვრებისა. ეს ნაწარმოები ხომ შედეგია რამდენიმე საუკუნეში გაჭედილის კულტურისა, ხალხის ძლიერების უმაღლესის საფეხურისა, ეგ ხომ რაღაც ვეებერთელაა, რაღაც შეუდარებელი და რაღაც უცნაური. შოთას ხომ სრულიად გაბედულად, თამამად, წარბშეუხრელად შეუძლიან ადგილი დაიკავოს ჰომიროსის გვერდით—ვინაიდან როგორც ერთმა ისე მეორემ გამოხატა თავისს უკვდავებით შემოსილ ლექსებში მთელი სული ერისა, მისი ფიქრი, ზრახვა, მისწრაფება, სევდა და ვარამი, ბედნიერება და კმაყოფილება, სიხარული და შვება. და მით, რომ თავიანთი ერის სულის სიღრმე-სიგძე-საგანით თვალწინ გადაგვიშალა, ადამიანთა კრებულის, კაცობრიობის, სულის და ცხოვრების უდიდესი წამები დაგვისურათა და სამარადისო სანეტარო სამუდამო იდეალად გარდიქმნა, ხელოვნებისათვის. დიაღ, ეს ყოველიფერი ასეა და ჩვენ არც კი გვიფიქრია შანშიაშვილი (მკითხველი უეჭველია მიხვდა დიდი ხანია: რომ ჩვენ შანშიაშვილის შესახებ ვსწერდით) შოთას გვერდით ამოგვეყენებინა. ჩვენ მარტო ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ შოთას განუწყვეტელი გავლენა ჩვენს ლიტერატურაზე უფრო ძლიერად იჩენს თავს შანშიაშვილის „იასონ და რენოში“, რომელიც „გრდემლის“ ორ წიგნშია დასტამბული. რვა საუკუნეა მას მერმე, რაც შოთამ ქართველი ერის სახელს უკვდავი და ხელუხლებელი ძეგლი შეუქმნა და მის მერმე მრავალი ჰყოლია მის ლექსს მიმბაძველი. მისი ლექსთწყობა საუკუნოების განმავლობაში სატრფიალოდ გადაქცეული იყო და ყოველგვარად სცდილობდნენ მას დამსგავსებოდნენ იგინი, რომელთა შესახებაც შოთამ იწინასწარმეტყველა თავისავე დიად ქმნილებაში:

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი ორი
„თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი
„განაღა სთქვას ერთი ორი, უმზგავსო და შორი შორი
„მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“.

მრავალფეროვანი მისი წამბაძველნი საბრალო მაიმუნებად სჩანან შოთას შუქის წინ და უფრო იჩრდილებიან მისის სხივის ქვეშ.

შოთას ლექსი განუმეორებელი რამ არის, ვით მზე და მთვარე, ვით სამყარო, ვით ყოველივე გენიოსი იგი შეუდარებელია და წასაბაძად არ შესაძლო, იგი ღვთაებაა, რომელსაც თავისი სამეუფო აქვს, თავისი ადგილი აქვს მინიჭებული ოლიმპზედ, ისეთი ადგილი, რომელზედაც სხვა „ჯორად“ გამოჩნდება, ანა და თავბრუ დაეხვევა და დაიმსხვრევა.

მაგრამ ერთმა ძლევამოსილმა გენიოსმა, რომ არ დაჰბადოს სიცოცხლის წყარო შეუძლებელია. შვიდი საუკუნე სჩქეფს ცხოველმყოფელი ეს წყარო ქართულის ლიტერატურისა და პოეზიისათვის, არა გვყოლია ისეთი დიდი მწერალი, რომ თრთოლვითა და ექსტაზით აღსავსე ლოცვით მუხლი არ მოეყაროს მისი დიდებულის აჩრდილის წინაშე. მისი ძლიერი სული შვიდასი წელია თავს დასტრიალებს ჩვენს მწერლობას და ნუგეშისა და იმედის ძალას უნერგავს გულში.

ბ. ა. შანშიაშვილიც დაეწაფა ამ სასწაულმომქმედ წმიდათა წმიდას ქართულის პოეზიისას და ფენიქსებრ განახლებული გვეჩვენა. დიდის პოეტურის ძალითა და იარაღით აღჭურვილი მისი „იასონ და რენო“ გვიმტკიცებს, რომ ბ. ა. შანშიაშვილი პოეზიის სამეუფოში ძლევამოსილია და გამარჯვებული, რომ ფორმა პოეზიისა, ამ სიტყვის საუკეთესო და ღრმა მნიშვნელობით, მის ხელთ არის, რომ ტეხნიკა ლექსთწყობისა მისგან ძლეულია. ამ სფერაში მისთვის შეუძლებელი აღარა არისრა მაშასადამე მას ისეთი ბიჯი აქვს გადადგმული პოეზიაში, რომელიც სანატრელ მერმისს უქადის მას. როდესაც შანშიაშვილი შეჰქმნის ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელშიაც შინაარსი და ფორმა ერთ წერტილზე მიყვანილი იქნება მის ხელში, როცა აღარ გეცოდინება ადამიანს სად თავდება ფორმა, ჩონჩხი, ტეხნიკა და სად იწყება სული და დედაძარღვი ნაწარმოებისა, როცა აღარ შეეძლება ადამიანს იფიქროს და ილაპარაკოს მის შესახებ თუ როგორია ფორმა და როგორია შინაარსი ალ. შანშიაშვილის ლექსებისა, რადგან ეს განუყრელი, განუყოფელი რამ არის ხელოვნებაში, მაშინ ა. შანშიაშვილი ადგილს დაიკავებს ჩვენს დიდ პოეტთა და მწერალთა შორის. ამით იმის თქმა, სრულიადაც არ მინდა, რომ ბ. ა. შანშიაშვილის ლექსებს სიღრმე აკლდეს და ან სიმშვენიერე შინაგანი, არა, მაგრამ არის კიდევ ერთი წერტილი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მწერალმა თავის განვითარებაში და რომელსაც—ბევრი საფუძველი გვაქვს ამისი—ვჰფიქრობთ ა. შანშიაშვილი უთოოდ მიაღწევს მას, რაც რუსთველმა გენიოსურად გამოსახა, მიაღწევს მას, რომ მის პოეზიის ეპიგრაფად შეგვეძლება შოთას სიტყვები წაუმძღვაროთ:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი
**სამღრთო სამღრთოდ გასაგონი,** მსმენელთათვის დიდი მარგი
ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმევდეს
**ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს**
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს
**და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.**

მთავარი აზრი, ლეიტ-მოტივი, ტენდენცია ამ სიტყვის ესთეტიურის მნიშვნელობით, დედა-აზრი და არსი მისი პოეზიისა, როცა ცხადყოფილი იქმნება იმ მშვენიერ ფორმაში,—რომლის სიძნელეს შანშიაშვილმა სძლია დაიპყრო,—მაშინ მისი სახელი სანატრელი შარავანდედით შეიმოსება ქართულს პოეზიაში.

I

წარმტაცი, მშვენიერი ლექსები აქვს შანშიაშვილს მომხიბვლელ ფორმაში ჩამოსხმული. მაგრამ იშვიათად გამოუჩენა იმდენი ძლიერება, როგორც ამ „პოემის“ ზოგიერთ ადგილებში და შეიძლება ვსთქვათ მთლად პირველ ნაწილში. აქ არის ისეთი პასსაჟები რომელიც უმაღლესის პოეზიის ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს. ჯერ გრძნობა სიყვარულისა. რამდენ სახეში არ მოგვევლინა რამდენსამე გვერდზედ ბ. შანშიაშვილმა. აიღეთ სიყვარული დემეტიკასი, ამ ვნებათა ღელვის მონის, მთლად გრძნობის ტალღებში ჩაფლულის დედა-კაცისა. მისთვის მარტო თავის ვნების დაკმაყოფილებასა აქვს მნიშვნელობა და იგი ისეთი მიჯნურია, რომელსაც „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“. მისი გრძნობა გესლით მოშხამულია და სურვა მისი საწამლავიანია, მისი მგრძნობელობა მომაკვდინელების სამსალით აღსავსეა, თანაც რაღაც საბედისწეროა, გააფთრებული: ვეფხის კლანჭებია მისი ხელები და საუკუნო საფლავი მისი გული. მისი გრძნობა მიჯნურობა არც არის. „მიჯნურობა სხვა რამეა არ სიძვისა დასადარი“. ეს კი ნამდვილი სიძვა არის და სხვა არა რა. ყოველივე ხერხი, რომელსაც დემეტიკა ხმარობს ფრიქსის მოსახიბლავად მაცდურებით აღსავსეა და მარტო ხორციელებისა და მგრძნობელობის სათაურიდან წარმომდინარეობს, ისიც იმ ხორციელებისა და მგრძნობელობისაგან, რომელიც უფრო დაბალ საფეხურზედა სდგას. ბ. შანშიაშვილი რენოს იასონის მიმართ გრძნობაში დაგვანახვებს სავსებით და სოცარის გამჭრიახობით იმ მეტად რადიკალურ განსხვავებას, რომელიც არსებობს სხვა და სხვა გვარ მგრძნობელობის შორის, ხორციელება, ფიზიოლოგიური მხარე სიყვარულისა არც თუ აბუჩად ასაგდებია და არამც თუ მეორე ხარისხოვანია, შესაძლოა მთელი ფატალური ძალა სიყვარულისა, მთელი მისი „სიფიცხე“ ბიბლიური კილო რომ ვიხმაროთ, სწორედ აქედან წარმომდინარეობს. არის ხორციელი მგრძნობელობა რომლის შესახებაც თამამად შეგვიძლიან ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ლექსი გავიმეოროთ

„მგრძნობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა
„შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს“

და რომლის საუცხოო მაგალითი ბ. შანშიაშვილის მიერ დასურათებული რენოს გრძნობაა. და არის მგრძნობელობა პირუტყვული, რომელსაც ადამიანური და ბუნებრივი აღარა შერჩენია რა, გარდა უსაზღვრო, საბედისწერო თვისებისა.

# ქართველ ქალების კრება

რადგან გამოცხადებული იყო კრების დღე, კრებას მრავალი დაესწრო ქალები. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქ-ნი ეკ. მესხი. თავმჯდომარემ გახსნა კრება, მოახსენა, რომ კომისიას მინდობილი ჰქონდა კავკასიელ ქალთა საზ. მოლაპარაკება შეერთებაზედ.

ქართველ ქალების პირველ საზოგადო კრებაზე დადგენილი იყო, მოლაპარაკება გავმართოთ კავკ. ქალთა საზოგადოებასთან ქართულ ავტონომიურ სექციად შესვლაზედაო. თუ არ დაგვეთანხმებიან, ამავე კომისიამ იზრუნოს საკუთარ საზოგადოების დაარსებაზე.

ქ. ტოროშელიძემ წაიკითხა მოხსენება კომისიისა, შემდეგ კრებამ დაიწყო ამ საგანზედ მსჯელობა. ქ-ნმა ნ. ნაკაშიძემ განაცხადა: პრინციპიალურად შეერთების საკითხი გადაწყვეტილია, არ დასთანხმდა მხოლოდ ქ-ნი განდეგილიო. კომისიამ დაიწყო მინდობილების შესრულება. კომისია შესდგებოდა 8 ქალისაგან. ამათგან ერთი წინააღმდეგია შეერთებისა, დანარჩენი მომხრენი ვართო.

ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ, თავმჯდომარემ კენჭი უყარა შეერთების საკითხს. ხელის აწევით კრების უმეტესობამ უარი განაცხადა შეერთებაზე. ამ გადაწყვეტილების შემდეგ. კომისია გადადგა და თავმჯდომარემაც უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. მოლოდინის წინააღმდეგ კრება არ ჩაიშალა. ამოირჩიეს თავმჯდომარედ ქ-ნი განდეგილი და განაგრძეს საქმე. ქ-ნმა ქეთ. თუხარელმა ითხოვა შეერთების პირობის კვლავ განმარტება, რადგანაც ბევრმა ნათლად ვერ გაითვალისწინაო. რადგან ოქმები კომისიის წევრებმა თან წაიღეს, კომისიის დარჩენილმა ერთმა წევრმა იკისრა ზეპირად გადმოცემა მოლაპარაკეთა სიტყვის შინაარსისა. კრებამ კიდევ განაგრძო ამ საგანზე მსჯელობა, და შემდეგ განაცხადა, საკითხი გამორკვეულია, ვთხოვთ თავმჯდომარეს კენჭი უყაროსო. რამდენიმე ხმის გარდა კრებამ ისევ უარჰყო შეერთება და დაადგინა, საკუთარი დამოუკიდებელი ქართველ ქალების საზოგადოება დააარსოს; ამოირჩიეს 15 ქალი, რომელთაც დაევალათ წესდების შემუშავება.

ქ-მა ნინო ყიფიანმა შემოიტანა წინადადება: საბოლოოდ დღეს ნუ გადავსწყვეტთ ამ საკითხსაო, მეორე კრება დავნიშნოთ, კიდევ კარგად, დაუკვირდეთ, ნუ ავჩქარდებითო.

თავმჯდომარემ ამ წინადადებასაც უყარა კენჭი, მაგრამ კრებამ არ შეიწყნარა.

კრებამ დაავალა სამი ქალისაგან შემდგარ დეპუტაციას, სთხოვონ კომისიის წევრებს მიიღონ მონაწილეობა ჩვენში პირველად შემდგარ ქალთა საზოგადოების საქმეში.

# გიმნასტიური ვარჯიშობა ქართულ გიმნაზიაში

შაბათს ქართულ გიმნაზიაში გაიმართა მეორე გიმნასტიური ვარჯიშობა, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. თავდაპირველად ივარჯიშეს პირველი და მეორე კლასის მოსწავლე ქალებმა, რომლებმაც თავიანთი მწყობრი და ლამაზი ვარჯიშობით აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. შემდეგ გაიმართა თავისუფალი გიმნასტიური ვარჯიშობა უნცროს კლასების ვაჟებისა. საინტერესო იყო უფროსი შეგირდების ვარჯიშობა სხვა და სხვა გიმნასტიურ სავარჯიშოებზე. უფროსი კლასების მოსწავლენი ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი და რიგრიგობით ხან ერთს სავარჯიშოზე ვარჯიშობდნენ ღ ხან მეორეზე. თვითეულ ჯგუფს მიჩენილი მოსწავლე ხელმძღვანელობდა. საერთო ვარჯიშობის შემდეგ ივარჯიშეს თვით ხელმძღვანელებმა, რომელთაგან ყველაზე მეტად მოეწონა საზოგადოებას ვარჯიშობა ჯავრიშვილისა, ციციშვილისა, ბაქრაძისა და ყარაშვილისა.

შემდეგ უფროსი კლასების მოსწავლეებმა, ორკესტრის აკომპანიმენტით, შეასრულეს თავისუფალი ვარჯიშობა. ვარჯიშობა დასრულდა ლამაზი პირამიდით.

საზოგადოდ მთელმა საღამომ, „შევარდენთა" ტანისამოსში გამოწყობილ მოსწავლეთა მოხდენილმა ვარჯიშობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ურიგო არ იქნებოდა, რომ ტფილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა საერთო ვარჯიშობა მოეხდინათ ერთ რომელიმე თავისუფალ დღეს.

# ქარ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

1 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა მოჰხდა.

სხდომა დაიწყო თავ. დ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით საღამოს 9 საათზე. კრებამ განიხილა საკითხი მამულების შეძენის შესახებ და დაადგინა: მიეცეს ნდობის ბარათი საბჭოს წევრს ვ. ი. რცხილაძეს, რათა მან ჭავჭავაძისაგან სოფ. მუკუზანში და ბანკისაგან სოფ. იყალთოში მამული შეიძინოს ქართულ სამეურნეო საზოგადოების სახელობაზე. შემდეგ კრებამ მოისმინა ვრცელი და ფრიად დასაბუთებული მოხსენება ბ. ყაზახაშვილისა, რომელიც უნდა წარედგინოს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს. კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თავ. ჩოლოყაშვილმა, თავ. ვახვახიშვილმა, ს. ხუნდაძემ, ე. იოსელიანმა და სხვ. კრებამ დაადგინა: მიენდოს საბჭოს წევრებს ვ. რცხილაძეს და ე. იოსელიანს შეავსონ მოხსენება და გაჰგზავნონ. საბჭო გადავიდა აგრონომის ბ ნ გ. ნახუცრიშვილის მოხსენების განხილვაზე, რომელმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კრებამ ბოლოს ეს მოხსენება მიიღო და დაამტკიცა. მოხსენება ვრცლად არის დასაბუთებული:

„კახეთში განზრახულ სანერგეებს და საცდელ მინდვრებს საძირკველი უკვე ჩავუყარეთ. 32 დესეტინა ნასყიდ მიწაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ 800 ოთხ-კუთხი საჟენია დამუშავებული, რომელზედაც დარგულია 28,000 ნამყენი და 16,000 ამერიკული საძირე ვაზი. საცდელ ვენახებსა და ნამყენ ვაზის სანერგეებს გარდა, განზრახულია მუკუზანის მამულში ხილის სამრეწველო ბაღის და სანერგის გაშენებაც. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კახეთის მადლიანი ბუნება ამ ახალ დარგის განვითარებაც ხელს შეუწყობს და სულ ახლო მომავალში კახეთის მეურნეობაში იგი მეორე ადგილს მაინც დაიჭერს. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, თუ ბოლომდის ასე გულმოდგინეთ შესძლებს განაგრძოს თავისი საქმე, როგორც მან დაიწყო თავიდან, აუცილებლად მთელ კახეთს დიდ სარგებლობას მოუტანს. ხალხი დღესვე დიდ შველა-დახმარებას გამოელოდება მისგ ნ, ამისათვის საჭიროა საქმის ბოლომდის მიყვანა—მისი დასრულება. რაც ჩქარა განხორციელდება დაწყებული საქმე, იმდენად ხალხის ნდობაც საზოგადოებისადმი ერთი ორად გაორკეცდება და ზნეობრივი დახმა-ყოფილების გარდა, ხსენებული საქმე ქონებრივადაც დახმარებას გაუწევს თვით საზოგადოების არსებობას. საზოგადოების წლიურ კრებაზე ზოგიერთებმა ის აზრიც კი გამოსთქვეს, რომ კახეთის საცდელ ვენახებზე და სანერგებზე გაწეული ხარჯი ხელს შეუშლის საგრონომო მოქმედებასაო. ასეთი შეხედულება შეცდომად უნდა ჩაითვალოს. შევადაროთ კახეთის მევენახეობის დღევანდელი მდგომარეობა თუნდა ამავე ქვეყნის დღევანდელ ხვნა-თესვას. არც აქ და არც ქართლში დღემდე ამ დარგს ისეთი გაჭირვება არ დასდგომია, როგორც კახეთის ზღვა ვენახებს, რომელსაც ირგვლივ შემოსეული ჰყავს საშინელი მტერი, ფილოქსერა. მე ვფიქრობ, რომ ასეთ გაჭირვებაში საშველად ხელის გაწვდა სწორედ იმას უნდა, ვინც მართლა მეტ გასაჭირს განიცდის. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კახეთი ამ მხრით მეტი ყურადღების ღირსია, რადგან ძისი უმთავრესი ცხოვრების წყარო—ვენახები,—მოსპობის გზაზედაა დამდგარი. მაშ ცხადია, რომ საზოგადოებამაც თავისი მეტი ზრუნვა და ყურადღება ჯერ-ჯერობით კახეთს უნდა უწილადოს.

თანახმად ასეთი მოსაზრებისა წლეულობით კახეთში შემდეგი სამუშაოები უნდა იქმნას აღსრულებული: 28,000 ნამყენიდან სულ ცოტა 30—40%-მა მაინც იხარებს, რაიცა 8,500—11,000 ძირ ნამყენს შეადგენს. ეს რაოდენობა ორ დესეტინა საცდელ ვენახს ეყოფა. 16,000 საძირე ამერიკულ ვაზიდან, იმედია, 11,000-მდე დასარგავ მასალას მივიღებთ, მაშასადამე ამ უკანასკნელისათვისაც დაგვჭირდება დესეტინა მიწის დამუშავება. რადგან ხეხილის ბაღი დიდ ხარჯს არ მოითხოვს, ამისათვის ურიგო არ იქნება, რომ წლეულობითვე მუკუზანში 3 დესეტინა ხილის ბაღი გაშენდეს.

საჭირო იქნება პირველ ხანად სანერგესათვის ½ დეს. მიწის დამუშავებაც.

ამ ნაირად წლევანდელი ხარჯი დაახლოვებით შემდეგში გამოიხატება.

**იყალთოს მამულში**. ა). 3 დესეტინა მიწის გადაბრუნება ამერიკული ვაზისათვის—1080 მ., ბ). 1 დეს. საცდელ ვენახისათვის—360, გ). დარგვა—70 მ. დ). 4 დეს. მიწის შემოღობვა—600, ე). წვრილმანი ხარჯი—100; სულ 2210 მანეთი.

**მუკუზანის მამული**. ა). 1 დეს. საცდელ ვენახისათვის, მიწის დამუშავება—480 მ. ბ). 3 დეს. ამერიკული ვაზისათვის—1440 მ., გ). 3 დეს. მიწაზე ხეხილისათვის ორმოები. დ). ½ დეს. მიწის გადაბრუნება ხეხილის სანერგისათვის—240 მ., ე). 500—600 ძირი ხეხილის შეძენა—150; ვ). ვაზისა და ხეხილის დარგვა—150; ზ). 7½ ტყიანი ადგილის გაკაფვა—250, თ). წვრილმანი ხარჯი—150, ი) ერთი ცხენისა და ლინეიკის ყიდვა 200, კ). ერთი ფიცრული ოთახის აშენება მუშებისათვის—200 მ., სულ 3360 მან.

საკუთარი ბინა დღეს საზოგადოებას არც ერთ მამულში არა აქვს. მათი აშენება წლეულობით შეიძლება გადაიდოს, მხოლოდ მუკუზანში მუშების თავშესაფარად ერთი ოთახის აშენება საჭიროა". კრება ამ მოხსენების განხილვით დასრულდა ღამის 12 საათზე.

# აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

ერის ერთი ნაწილი... გულის სიღრმეში ჰგრძნობს რაღაც სიმწვავეს, რომ ყოველ გამავლელ-გამომვლელის გასათელ მოედნად გავხდით და ხმის ამომღები კი არავინ გვიჩანს.

✦

**კავკასია არ არის ერთი მთელი.** კავკასიის მშრომელ ხალხს გასარკვევი და გასასინჯავი აქვთ ათასგვარი კერძო, ნაციონალური საკითხები, კავკასიის მშრომელ ხალხის სოლიდარულ მოქმედებისათვის ჯერ ხნობით ნიადაგი მზად არ არის.

✦

რაც უნდა დიდს გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

✦

ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში, ვეძიოთ ხსნა და იმედი უკეთესის მომავლისა.

✦

ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიურ კანონის ძალით, არამედ სოციალურ პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო.

# ბალკანეთი და სახელმწიფოები

## როდის მოხდება ზავი?

წინასწარი სამშვიდობო ხელ-შეკრულობის დაგვიანების ბრალი თვით მოკავშირეებს ედებათ. ხელშეკრულობა იმიტომ დარჩა დღემდე ხელმოუწერელი, რომ უკანასკნელ დროს მოკავშირეებმა დაჟინებით მოითხოვეს ახალი პუნქტების შიგ შეტანა. ასე, მაგალ., ბულგარელები თხოულობდნენ, რომ ხელშეკრულობაში დაწვრილებით ყოფილიყო ჩამოთვლილი ყველა პუნქტი მიდიაენოსის საზღვრისა; სერბიელები მოითხოვდნენ, რომ აღნიშნული ყოფილიყო აგრეთვე კომერციული გზა ადრიატიკის ზღვისაკენ, ხოლო ბერძნები—რათა ნაჩვენები ყოფილიყო, თუ რამდენი და რომელი კუნძული ერგება საბერძნეთს ეგეის ზღვაზე. დიდი სახელმწიფოები სცდილობდნენ მათს მორბილებას და ურჩევდნენ, რომ არ გაეჭიანურებინათ საქმე. ცდამ ნაყოფი გამოიღო: ამ დღეებში მოელიან ხელშეკრულობის ხელისმოწერას.

**მოკავშირეთა უთანხმოებანი**

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ბულგარელებსა და ბერძნებს შორის მოხდა ახალი შეტაკება, რომელიც შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეულიო;

რათა თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი კონფლიქტი მაკედონიაში მდგომ მოკავშირეთა ჯარისა, საგანგებო კომისიას მინდობილი ჰქონდა ნეიტრალური ადგილის გამოკვლევა, რაც უკვე მოხდა 4 აპრილს. ბულგარელებისა და ბერძნების ჯარმა დაუყოვნებლად დაიკავა ნაჩვენები ადგილები. რამდენიმე დღის შემდეგ ბერძნებმა დანიშნულ ადგილებზე დაიწყეს სიმაგრებისა და თხრილების კეთება. ეს არ მოეწონა ბულგარელების ჯარს, იგი იერიშით მივიდა ამ სიმაგრეების ასაღებად. ბერძნებმა თავდაცვას მიჰმართეს და ცოტა ხნის შემდეგ გაიმართა ნამდვილი ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა არტილერია.

**ბულგარელი ნაციონალისტები.**

სოფიაში ბულგარეთის ნაციონალისტურმა პარტიამ გამართა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. შეიმუშავეს მწვავე რეზოლიუციები მოკავშირეთა, განსაკუთრებით კი სერბიელების, წინააღმდეგ. ორატორთა სიტყვებში გაისმოდა რუსეთისკენ მიმართული უკმაყოფილება, გადასწყვიტეს, პროვინციებშიც მოაწყონ ასეთი მიტინგები და მთავრობას ენერგიულად მოსთხოვონ მტკიცე პოლიტიკის წარმოება, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს რუსეთის დიპლომატიის გავლენისაგან.

---

დემეტრიკას შესახებ, მგოსანი რომ არ გვაუწყებდეს: „ქალი იყო ვნებიანი, ფრიქსის ტრფობა აღელვებდაო". მისი ხატება გვიჩვენებს რა ჯურის ქალიც იგი არის:

„დემეტრიკა ტანთ იცვამდა სამოსს,
გვერდით ჩახეულსა
„მოძრაობას არ უშლიდა ლაღად
სრბოლა დაჩვეულსა,
„ვით ლეჩაქი გამჭვირვალე, ეკვრებოდა ნაზ სხეულსა,
„ნაკვთი ნაკვთათ ემჩნეოდა საროს
ტანსა შერხეულსა.
„ძუძუ-მკერდი გადმოშლილი შუქსა ჰფენდა, ვითა მთვარე,
„თხელი ფლოსტით იმკობოდა ფეხი
წმინდა, ნელ-მოარე"

აქ ყოველივე სიტყვა, ყოველივე მოხაზულობა, ყოველივე ფერადი ერთს გვიმტკიცებს მარტო, რომ „დემეტრიკა ქალი იყო ვნებიანი" მისი სამოსი „გვერდით ჩახეული", ნებას აძლევდა სხეულის თავისუფალი მიმოხვრა დაეცვა და ვნების, ეშხის აღმძვრელი პლასტიკით მოეჯადოებინა მაყურებელი. ეს სამოსი იყო, ქსოვილი „ვით ლეჩაქი გამჭვირვალე" რათა მშვენიერი და წარმტაცის სხეულის აგებულება ყველასთვის თვალწინ დაეყენებინა, ისე კი რომ საიდუმლო დაფარული რამ კიდევ დარჩენილიყო მის სხეულის სანახაობაში. მართლაც მთლად ტიტველი ტანი როდი აღელვებს ადამიანს, როდი იწვევს ისეთს გრძნობებს, როგორც ისეთის სამოსით დაფარული, რომელიც „ვით ლეჩაქი გამჭვირვალეა" აქ კიდევ რჩება რაღაც რაც აღძრულ გრძნობას სავსებით ვერ აკმაყოფილებს და ბადებს წყურვილს სავსებით განძარცვოს იგი სამოსელიდან. ბუნებრივი სიტიტვლე თუ ერთის მხრით გრძნობათა გამაჯავრებელია, მეორეს მხრით თვითვე ამ ბუნებრივობაში იმალება ამ გრძნობის დამაამებელი ბევრი რამ, ბევრი რამ ისეთი ნაწილი სხეულისა, რომელიც ასე ვსთქვათ ბუნებრივ ზომიერების ფარგალში აყენებს ადამიანის აშლილ ვნებათ, მაშინ როდესაც ასე მომჯადოებლად, ასე მოხერხებულად მოწყობილი ტანთსაცმელი მარტო ისეთს ნაწილს გაჩვენებსთ სხეულისას და ისიც იმნაირად ვითომ და დაფარულს, რომ მარტო ვნებათა გამახელებელი ხდება. და აი დემეტრიკასაც ინსტინქტიურად სავსებით აქვს შესწავლილი ეს ჯადოსნური მეცნიერება სხეულის შემწეობით ვნების გამოწვევისა და კიდევაც ასრულებს მას არტისტიულად. ეხლა დააკვირდით მის ფიზიკას, მის სახეს—ეს ნამდვილი ონავარია, მხეცი, რომელიც ნიადაგ უთვალთვალებს ნადირს, რომ კლანჭებში ჩაიგდოს და გულ-ღვიძლი გაუფათროს.

„ლალის ბაგე ელვად ჰკრთოდა,
როს დაჰკრავდა ტუჩს ღიმილი.
„თვის გარემოს მომხიბვლელად
აშუქებდა თეთრი კბილი...
„შავნი თვალნი სხივს აფრქვევდნენ,
ჟუჟუნობდნენ, ერთობოდნენ,
„სხვასა სწავდნენ ეშხიანსა, თვითვე
ეშხით იწვებოდნენ
„ვნების ტალღას აცურებდნენ,
ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ".

ამგვარ არსებას იშვიათად თუ ვინმე გაუძლებდა, იშვიათად თუ მოინახებოდა ისეთ, რომ მისგან გრძნეულად დაგებულ მახეში არ გაბმულიყო.

„ვნებიანი ქალის" საუკეთესო იარაღი ბრძოლის ველზე გასამარჯვებლად ცეკვა არის. სამარადისო ტიპი ამგვარის ქალისა ეროდეს ასულია, რომელიც გენიოსურად განავითარა უაილდმა. იქაც იოანე წინასწარმეტყველის საბედისწეროდ შეიქმნა „როკვა" ეროდეს ასულისა. სალომეიას როკვამ ეროდეს ჭკუა და გონება აუბნია და საშინელი ბოროტმოქმედება ჩაადენინა. ამ ჯურის ქალი გახლავართ დემეტრიკაც ღ აბა ნახეთ წარმტაცი საუცხოოთ დახატული ცოცხალი სურათი მისი ცეკვისა:

„დემეტრიკა წინ წარმოდგა, სათამაშოდ გაემზადა,
„გაიშალა თმა გიშერი, ფლოსტი
ფეხთით გაიხადა,
„გადიხარა წელში ოდნავ, მკერდს
ლეჩაქი აეხადა,
„შავი თვალნი იქ მიაპყრო, სადაც
ფრიქსი გაეცხადა.
„ხან თითებზე შესდგებოდა, ხან
ხელებსა აღაპყრობდა,
„ხან გაშლიდა ოქროს ნაქსოვს,
სრიალობდა, ნავარდობდა,
„ხან დაირას შემოჰკრავდა, თვის
სისრულეს თვითვე ჰგრძნობდა,
„ხან დაჰხრიდა დაბლა თვალებს, ხან
ზეცისკენ აღაპყრობდა,
„ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა
და მალულვე აშიყობდა,
„მას ერთს თავსა აწონებდა, მისთვის ასე ხელოვნობდა,
„სულით გულით მისი იყო სატრფიალოდ მოიხმოდა,
„ძუძუ მკერდი ცეკვის ჟამსა ნარნაროზდა, ეშხით ირთოდა".

მთელი პლასტიკა, მთელი მოძრაობა მთელი ეშხიანობა ამ ცეკვისა, სავსებით არის დაცული და სამაგალითო სახარბიელო ხელოვნებით არის დახატული. ის კი არა აქ ლექსთა წყობა უმაღლესს საფეხურამდის მიდის მით, რომ არა თუ დაცულია მუსიკალური რითმი, იგი შეხამებულია ცეკვის რითმით ან და ამგვარად ლექსში გადაცემულია მუსიკა და ცეკვა, კეთილხმოვნება უმაღლეს მუსიკალობამდის არის მიყვანილი, აბა ყური დაუგდეთ:

„ხან თითებზე შესდგებოდა, ხან
ხელებსა აღაპყრობდა,
ხან გაშლიდა ოქროს ნაქსოვს, სრია-
ლობდა ნავარდობდა,
ხან დაირას შემოჰკრავდა, თვის სის-
რულეს თვითვე ჰგრძნობდა,
ხან დაჰხრიდა დაბლა თვალებს, ხან
ზეცისკენ აღაპყრობდა,
ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და
მალულვე აშიყობდა".

ყოველი ლექსი იწყება ერთი და იმავე ერთ მარცვლოვანი სიტყვით, „ხან", და „ხან", რომელიც თითქო ტაშის ცემათ გესმისთ, დემეტრიკას დაირის საპასუხოდ. ყოველი სტრიქონი აქ თქვენ ცეკვის ყოველს მომენტს გადმოგცემით, რაღაც სინემატოგრაფიულის სინამდვილით ე. ი. ყოველივე მიმოხვრა ცეკვისა ცოცხლად გიდგასთ თვალწინ, არა ქანდაკების საშუალებით, არა გაყინულად და გაქვავებულად ერთ წერტილზე, არამედ მთელი სიცოცხლე და მოძრაობა უცნაურად დაცულია. ეს კიდევ არაფერი. მთელი აზრი, მიზანი, ღედაძარღვი ამ მომხიბვლელის, საბედისწერო „როკვისა" თვალ წინ გიდგიათ: „შავი თვალნი იქ მიაპყრო, სადაც ფრიქსი გაეცხადა... ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა". და აი სწორედ ეს ადგილებია ის, რომელთა შესახებაც ითქმის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს პოეზიის უდიადესს მწვერვალებამდის მიუღწევია. ფორმა და შინაარსი აქ განუყრელია. რის გამოხატვაც პოეტს ჰსურდა, გამოხატყა სავსებით, ჩამოაყალიბა სრულის ხელოვნებით, და შემოსა წარტაც მომხიბვლელის ფორმით. როდესაც საგნის ყოველივე ბგერა საგნის ღედაძარღვი სიღრმე-სიგანით თვალ წინ გიდგიათ და ეს საგანი არტისტიულად შემკულია—მაშინ უნდა იცოდეთ, რომ იგი დიდის ნიჭის ხელოვნის შექმნილია. ახლა გავჰყვეთ „ვნებიანი ქალის" თავზარდამცემი გრძნობის განვითარების გზას. ფრიქსი ყოველივე მომხიბვლელობას დემეტრიკასას ცივად დაუხვდა, ის კი არა, ვითა უცოდველსა და უმანკო ყრმას შერცხვა ამ ჯადოსნობის, ამ „სიძვის" მსგავსი სიყვარულისა, ვითა ცოდვისა და მაცდურებისა:

„მაგრამ ფრიქსი ცივად იდგა;
დემეტრიკა ამას გრძნობდა,
წყნარის რხევით, სიკეკლუცით
ამაყს გვერდით ჩაუარა,
ნელის ხმითა და ჩურჩულით შეე-
კითხა: „ჰო თუ არა"
ფრიქსსა შერცხვა, პირისახეს
მსწრაფლ სიწითლემ გადუარა
დემეტრიკას მით ანიშნა, რომ თვით
გულმა იუარა".

და გამეორდა იგი, რაც შეადგენს ტრაგედიას „უიმედო სიყვარულისას" გამეორდა იგი, რაც სხვა და სხვა გვარად თან ახლავს ადამიანთა შორის ყოველგვარ დამოკიდებულებას, რომელსაც სერიოზული და ფატალური მნიშვნელობა აქვს: დაიბადა უარყოფილი გრძნობა, რომელშიაც არავის დანაშაული არ მიუძღვის გარდა ბუნებისა.

უმაღლესი წერტილი, როცა მისთვის—საყვარელის საგნისათვის—„ქირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს"—და უკანასკნელი ხაზი, როდესაც „დღეს ერთი უნდე სხვალე სხვა" ამ ფარგალში შეიძლება მოემწყვდეს დემეტრიკას ტრფიალიც, ისე როგორც ეროდეს ასულის, ისე როგორც ვენერასი.

„დემეტრიკა მკერდ გაშლილი ჭა-
ბუკს თრთოლვით დაეკონა,
„მოეხვია გველის მსგავსად, დაუ-
კოცნა ვარდის კონა
„თმა გიშერი შემოაჭდო, ვნებას
სრულად დაემონა...
. . . . . . . . . . . . . . . . .
„ფრიქსი სწრაფად გამოუსხლტა,
შიში, ძრწოლა დაეხატა
. . . . . . . . . . . . . . . . .
„დედოფალი მუხლ-მოდრეკით ეხ-
ვეწა და ემუდარა;
„ფრიქსი ხმასა ველარ სცემდა, გა-
დეფარა პირს სუდარა"

დემეტრიკამ ძლევამოსილი თავისი სიმშვენიერე, თავისი მგრძნობელობა უძირო, თავისი ეშხი და გაქნილობა ყოველივე მოიხმარა, ყოველ ხერხს მიმართა, მაგრამ ფრიქსი

„არ იქნა და არ დანებდა, ელეს
ფიცს არ უღალატა".

გრძნობათა დაუკმაყოფილებლობამ დემეტრიკა გააფთრებულ ლომს დაამსგავსა, მიძინებულმა გველმა, რომელიც ამას წინად ყელზე ეხვეოდა ფრიქს, გამოიღვიძა და თავისი მომაკვდინებელი შხამი მიმართა და აჰა ჩვენ წინ გადაიშალა გრძნობა, რომელიც მარტო მსხვერპლსა თხოვილობს და ჯალათის როლს კისრულობს და მისი ვნების ფეხ-ქვეშ გამთელელს სასტიკად მიუზღო და ქმარს დაასმინა, ცილის წამება შესთხზა.

„ფრიქსი ძალით შემომეკრა, მოი-
სურვა ჩემთვის მდარე,
„არ გამშორდა ყრმა-ჭაბუკი, თუმ-
ცა ბევრი ვემუდარე"

ასე არ მოიქცა ეროდეს ასულიც: რაკი იოვანაანი სიყვარულით ვერ მოაჯადოვა, მეფეს მიჰყიდა თავისი ვნების აღმძვრელი როკვა და საფასურად იოვანაანის თავი მოითხოვა. ხოლო აღტყინებული გრძნობა დაიკმაყოფილა და დაიმშვიდა სიკვდილისაგან ფერწასულ ტუჩებზე კოცნის აღბეჭდვით. ასეთი რამე მოხდა ვენერასა და ადონისის შორის. ადონისი ღვთაების გრძნობათა ღელვას ცივის უარით და თითქმის შეურაცხმყოფელის სიტყვებით უხვდებოდა. მაგრამ ვენერა (ამ ქალთა შორის ყველაზე უფრო ბედნიერი იქნება იმიტომ, რომ ოლიმპის მცხოვრები იყო) ღმერთი იყო და შური სხვა გვარად იძია, თავის სურვილს მაინც მიაღწია, ადონისი ძალით დაიმორჩილა, თუმცა ამით გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და ის სიტკბოება ვერ მიიღო, რომელიც თან სდევს იმ სიყვარულს, იმ გრძნობას, რომელსაც ორივ ემონება, რომელიც ორივეს ხიბლავს და რომლის გრძნეულებას ვერც ერთი მხარე ვერ წასვლია.

დემეტრიკას სიყვარული ტლანქად ეგოისტურია, მეტად ცალმხრივია, ცალფეხაა. მას უყვარს თავისი ვნება თავისი გრძნობა და იმის დაკმაყოფილებასა სცდილობს, თუგინდ ამისთვის სატრფოს თავისმოკვეთაც დასჭირდეს. დემეტრიკა, და ეროდეს ასული სრულიად დაკმაყოფილებულად იგრძნობენ თავს, თუ ვენერასავით გაიმარჯვებენ და გინდ ეროდეს ასულსავით. მათთვის ურთიერთობას, თანაგრძნობას, გრძნობის გაზიარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათ მარტო ის უნდათ, რომ სქესობრივი ჟინი დაიკმაყოფილონ... დიდ ჟინი და არა გრძნობა, კაპრიზი და არა მოთხოვნილება, ინსტინქტი და არა მგრძნობელობა. ამიტომ მათი გრძნობა ბრმა არის და მის ცალკერძოობას მარტო მაშინ შეამჩნევენ როცა საწადელს ნახევრად აღისრულებენ და ამითაც კმაყოფილნი არიან. თავი გამარჯვებულად მიაჩნიათ ჟინი დაიკმაყოფილეს,—მაგრამ რაკი ჟინის მოკვლა შეიძლება და დაკმაყოფილება არა, ამიტომაც მათი გრძნობა ნიადაგ საფლავის კიდეზეა და კმაყოფილებისა არა იცის რა. ის ერთხორცოვნობა და ერთსულოვნობა, რომელიც ახლავს ურთიერთ შორის აღძრულ და ორთავეს მიერ სანეტარო მისწრაფებას ერთი მეორისაკენ მათ იშვიათად ესტუმრებათ ხოლმე, მათი მდგომარეობა ისეთია ყოველთვის, რომელიც შექსპირის უკვდავმა კალამმა დაგვისურათა მისს „ვენერა და ადონისში".

„Тогда она беретъ добычу страстно,
„Но жадности не можетъ утолить
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
„Онъ ей покоренъ, и она хватаетъ
„Все то что можетъ, но не желаетъ"

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე

ივერიელი

## თეატრი და ხელოვნება

დღეს, 7 მაისს ქართულ თეატრში ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო გამართავს საინტერესო საოჯახო საღამოს. წარმოდგენილ იქნება ცნობილი ოპერა „ლაკმე“ მუსიკა დელიბასი. საოპერო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ცნობილნი მომღერალნი ქ-ნი საბანეევისა, ბ-ნი ი. სარაჯიშვილი ზ. ორდა და სხვა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

4—5 მაისი.

### უცხოეთი

**ათინა.** ასკვიტი და ჩერჩილი ათინაში მივიდნენ. დაჰყოფენ ორ-სამდღეს. ოფიციალურ პირებს არ ინახულებენ.

**შანხაი.** სესხის აღების წინააღმდეგი აგიტაცია მოსპეს. ხალხი დამშვიდებულია.

**სტამბოლი.** სომეხთა ეროვნულ საზოგადოების კრებაზე პატრიარხმა არშანუნიმ განაცხადა: ექვსი თვის განმავლობაში სომხების უმწეო მდგომარეობაზე 176 მოხსენება წარვუდგინე პორტას, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა. მთავრობის აღთქმანი სომხეთში რეფორმების მოხდენის თაობაზე, დიდ ნდობას არ იმსახურებენო.

ქურთელმა სტუდენტებმა დიდ ვეზირს პროტესტი განუცხადეს მათთვის შეურაცხმყოფელ განცხადების გამო, რომელიც სომეხთა პატრიარქმა წარუდგანა პორტას. სტუდენტები მოითხოვენ დაკმაყოფილებას.

**ბელგრადი.** ოფიციოზი „სამოუპრავა“ უპასუხებს ბელგრადის გაზეთს „პოლიტიკა“-ს. „პოლიტიკა“ მთავრობას უსაყვედურებს უმოქმედობას ბულგარეთ-სერბიის გამიჯნის საკითხში, „სამოუპრავა“ უპასუხებს: ამ გვარ სიტყვებს შეუძლიან ზიანი მოუტანოს საზოგადოდ მოკავშირეთა ინტერესებს და კერძოდ სერბიისა და ბულგარეთის ურთიერთობასო. სერბიას ენერგიული ზომები არ მიუღია ბულგარეთის წინაშე, არც არის მოწადინებული თავს დაესხას მას, არავითარ რეფორმებს არ ითხოვს ბულგარეთისაგან, მხოლოდ ჰსურს საკითხი მშვიდობიანად და მეგობრულად გადასწყდესო.

**სტამბოლი.** „ტანინი“ ირონიით აღნიშნავს, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის მიერ კუნძულ ადა-კალეს შეერთება სავალდებულო თემად გამოდგება; ლონდონელი ოსმალეთის ელჩნი ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევენ და კომპენსაციას მოსთხოვენო.

**ბელგრადი.** „შტამპა“ სწერს: მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, გადასცენ ბულგარეთის მთავრობას ნოტა, საცა დაწვრილებით იქნება მოთხრობილი მთავრობის შეხედულება ბულგარეთ-სერბიის გამიჯვნაზე და ხელშეკრულების გადათვალიერების საჭიროებაზე.

**პეკინი** თუმცა სამხედრო წესები არ არის აქ შემოღებული, პოლიცია მაინც საგანგებო ზომებს იღებსო. სამხრეთით მოსულებს მკაცრ თვალყურს ადევნებენ. ამ ბოლო დროს შეიპყრეს სამხრეთიდან მოსული ტერორისტები. ზოგიერთნი სიკვდილით დასაჯეს კიდეც.

**ტოკიო.** მრავალრიცხოვანი მიტინგი მოხდა, პროფესორთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მონაწილეობით: დადგენილება შემდეგი გამოიტანეს: საჭიროა ყოველნაირი საშუალებით მიახწიონ ამერიკის ყოველ კანონის მოსპობას, რომელნიც ასე თუ ისე იაპონელების წინააღმდეგ არის მიმართული.

**სალონიკი.** ბულგარეთი საჩქაროდ აძლიერებს ჯარს მაკედონიაში. ეხლა იქ არის 65,000 ჯარისკაცი. ჯარის ხელში ყველა გზაა.

**ვენა.** „რეიხსპორტ“-ს სკუტარიდან ატყობინებენ: ჩრდილო ალბანეთში საერთაშორისო გამოსვლის ხასიათი ეწინააღმდეგება ავსტრია-ჰუნგრეთის ინტერესებს. განსაკუთრებით ეს სკუტარში ემჩნეოდა.

**პარიზი.** რადიკალ-სოციალისტთა ბანკეტზე კაიომ სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის წინააღმდეგ სიტყვა სთქვა.

**სკოპლე.** ფრანგ ოფიცერთა მისიამ ინახულა კუმანოვის ბრძოლის ველი; აქედან ვალესით და პრილეპით ბიტოლიაში მიემგზავრება.

**ტოკიო.** სამხედრო მინისტრის ამხანაგის ოკოს ნაცვლად დაინიშნა გენერალი რანგო. გაზეთების აზრით ეხლანდელი კაბინეთი სცდილობს კაბინეთს ჩამოაშოროს ჩიოსის კლანის მომხრენი, რომელნიც დაბეჯითებით ითხოვენ ჯარის გაძლიერებას.

**სკოპლე.** სერბიელ და ბერძენ ოფიცერთა შერეულმა კომისიამ დროებითი საზღვრის ნეიტრალური მიჯნა გაიყვანა; იგი იწყება გეფრელიდან, ფლორინის ჩრდილოეთით გადადის დუდიცასა და დიქის მთებზე, სამხრეთით უვლის პრესპადის და ოხრიდის ტბებს და დრინამდე ახწევს. სერბიელ-ბულგართა ამგვარმავე კომისიამ დროებითი საზღვარი გაიყვანა დაპყრობილ ტერიტორიებისა: იგი იწყება ოსმალეთის და ბულგარეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან, ქალაქ კრივა-პალანკას სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიჰყვება ზლეტოვსკა, ბრეგალნიცასა და კრივალაკავიცკის მდინარეებს ვიდრე დოიარანამდედა გევგელამდე. ქალაქებსა —იშტიპში, რადოვიშტიში, სტრუგაში და დოიარანში, რომელნიც ბულგარელებმა და სერბიელებმა ერთად დაიპყრეს, იმყოფება აგრეთვე სერბიის ჯართა გარნიზონები; ადმინისტრაცია ბულგართა ხელშია.

**მუკდენი.** დუდუს სამმართველომ შეადგინა კომისია შიდა მონღოლეთის პროვინციად გადაქცევის პროექტის შესამუშავებლად. შიდა მონღოლეთის მთავრებს მიწერილობა გაუგზავნეს, გამოჰგზავნონ კომისიაში თავის წარმომადგენელნი.

**ურგა.** ჩინელთა პარტია ძლიერდება. ეჭვობენ, რომ ხაისანი და შინტუვანი, რომელნიც ყოველნაირ საშუალებით სცდილობენ მონღოლეთის მთავრობაში შუღლი დასთესონ, იუნშიკაის მიერ არიან მოსყიდულნიო. დალამის პარტია ბრალსა სდებს სამხედრო მინისტრს და ლაივანს უმოქმედობაში.

**ტოკიო.** ოფიციოზი აღნიშნავს: მიუხედავად ვაშინგტონის მთავრობისა და კალიფორნიის შტატის მოლაპარაკების უშედეგობისა, იაპონიასა და ამერიკის შორის კეთილგანწყობილება მაინც დარჩებაო. გაზეთის აზრით, ამერიკელთა უმრავლესობა თანაგრძნობით ეპყრობა იაპონელებს.

**მუკდენი.** მე-28 დივიზია, რომელმაც უნდა დაიპყროს შიდა მონღოლეთი, გენერალ ფიჩლინგოს მეთაურობით საჩქაროდ მიემგზავრება პუკოუში.

**ბერლინი.** დღევანდელ დღემდე ლანდტაგში არჩეულია: 127 კონსერვატორი, 43 დამოუკიდებელი კონსერვატორი, 56 ნაციონალისტ-ლიბერალი, სახალხო პარტიის 25 წევრი, 96 ცენტრის წევრი, 4 პოლონელი, 2 დანიელი და 7 სოციალისტი.

**კოპენჰაგენი.** საზღვაო სამართლის საერთაშორისო კონფერენციამ გადასწყვიტა დააარსოს საერთაშორისო ბიურო, რომელიც ზღვაზე უზრუნველსაყოფ მოსაზრებათ შეიმუშავებს.

**ფენიქსი** (არიზონის შტატი). გუბერნატორმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც უცხოელთ მიწის შეძენის უფლებას ართმევს.

**პარიზი.** 6 მაისს მთავრობა შეიტანს დეპუტატთა პალატაში კანონპროექტს, რომელიც ყოველ გასულ ჯარის კაცთა შესანახად დამატებითი კრედიტს მოითხოვს.

**ათინა.** 3 მაისს კორფუში მოვიდა მინისტრ-პრეზიდენტი ასკვიტი. ხალხი აღტაცებით მიეგება. შემდეგ საზღვაო მინისტრი ჩერჩილი მოვიდა. მათ დაათვალიერეს ქალაქი და საღამოთივე წავიდნენ.

**კალკუტა.** აღმოსავლეთ ბენგალიაში, დიაკასა და კალუკუტაში მრავალი ჩხრეკა მოხდა. დააპატიმრეს 15 თვალსაჩინო ინდოელი.

**ვენა.** ჩეხის პარტიათა უმრავლესობამ გადასწყვიტა მკაცრი ოპოზიცია გაუწიონ გრ. შტიურგკას კაბინეთს, რადგანაც იგი ხელს უწყობს ჩეხიის სეიმში გერმანელთა ობსტრუქციებს და ჩეხელთა მოთხოვნილებას სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში უყურადღებოდ სტოვებს ახალგაზრდა ჩეხელთა პარტია ოპოზიციონურ ტაქტიკას ჯერ არ მიმხრობია.

**პრესბურგი.** დღისით ძლიერი ცეცხლი გაჩნდა დაიწვა 50 სახლი; ათი ქუჩა ცეცხლის ალშია გახვეული. 8.000 კაცი უსახლ-კაროდ დარჩა.

**ცეტინიე.** გარეშე საქმეთა მინისტრმა პლამენაცმა ჩერნოგორიის აწინდელ საგარეო პოლიტიკაზე სთქვა: ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან, თანახმად ისტორიისა და ტრადიციისა, მეგობრული და ძმურია; სერბიასთან—ძმური და ავსტრიასთან, როგორც მეზობელ სახელმწიფოსთან უთავაზიანესი.

**პარიზი.** პიშონის გუშინდელმა სიტყვამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკოსთა წრეებზე; პარლამენტის ყველა ჯგუფმა მოიწონა საფრანგეთის პოლიტიკის ძირითადი საფუძველნი ბალკანეთში.

**ბერლინი.** გამოირკვა ლანდტაგის არჩევნების შედეგი: 433 ოლქში არჩეულია: 140 კონსერვატორი, 49 დამოუკიდებელი კონსერვატორი, 58 ნაციონალისტ-ლიბერალი, სახალხო პარტიის 25 წევრი, ცენტრისა—100, 10 პოლონელი, 2 დანიელი, 7 სოციალდემოკრატი. ხელმეორე არჩევნები მოხდება 42 ოლქში.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** პირველ მაისობის დღესასწაულში მონაწილეობის მიღების გამო ქალაქის უფროსმა კიდევ 49 კაცს მიუსაჯა სამი თვის ციხე.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „პრავდას“ მე-102 და „ტრუდ. გოლოს“-ის მე-11 ნომრები.

**პეტერბურგი.** სათათბიროს საქალაქო საქმეთა კომისიამ დაადგინა შეუდგეს სახელმწიფო საბჭოს მიერ შესწორებულ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. კანონ-პროექტი ეხება პრივისლიანის გუბერნიების ქალაქთა მართვა-გამგეობის წესის შეცვლას.

საბჭოსა და სათათბიროს ცენტრშორის შეთანხმება მოხდა, ადგილობრივ სასამართლოს შეცვლის კანონ-პროექტის განხილვა ივნისის დასაწყისში დასრულდესო.

**პეტერბურგი.** სახელმწიფოს ხარჯთაღრიცხვის შემსრულებელთა კომისიამ მოიწონა მთავრობის განკარგულება, გაიღოს ფული სარაყამიშ-ოსმალეთის საზღვრის რკინის გზ-ს გამოსაკვლევად.

## წერილი რედ. მიმართ

ბ ნო რედაქტორო! გიგზავნი 35 მან. ბათომის ქართველ ქალთა ჯგუფისაგან შეგროვილს და უმორჩილესადა გთხოვთ დაუმატოდ არჩილ ჯორჯაძის საფლავზედ ძეგლის ასაგებად შეგროვებულ თანხას.

**მარიამ თაყაიშვილისა, ელო ანდრონიკაშვილი, ქეთევან მესხი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ პატარა წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში და ამით საშუალება მომცეთ გამოვიწვიო სამედიატორო სამართალში აზიური საქონლით მოვაჭრე, ბ-ნი ასლან ავალიანი.

ბატონო ასლან! მე თქვენთან ვმუშაობდი ოთხი წელიწადი; არ მახსოვს იმისთანა შემთხვევა, რომ ჩემ საქმეს ბოროტად მოვქცეოდე—ჩემს მოვალეობას მუდამ პირნათლად ვასრულებდი. თქვენ კი სრულიად უმიზეზოდ და გაუფრთხილებლად დამითხოვეთ, რის უფლებაც, ჩვენის პირობით, არა გქონდათ. ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. წინადადებას გაძლევთ სამი დღის განმავლობაში დაასახელოთ თქვენი მედიატორები.

**პლატონ კახიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბეგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**კბილის ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი ბაქრაძისა. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

**ვაგზლის**

## სამშობიარო თავშესაფარი

**ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა**

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.

თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ავეტიკოვი.**
**ვაგზლის ქუჩა № 2, ტელეფ. № 3—22** 1018.

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.



ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მექანიკური ნაწარმოები. 17..

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი“** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## მარმარილოს სახელოსნო და ძეგლების საწყობი



**ნ. დ. აღლამესი.**

**მიიღება შეკვეთა ყოველნაირ ქვისა და მოზაიკურ სამუშაოსი.**

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 48. 1189

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას „ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“**

**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კაჭკაჭში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **შორაპანში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„**ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში**“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 107

## სამხატვრო და სახელოსნო ქარხანა ა. ვ. კოსტანდოვისა.

ტფილისი, გერმანელთა ქუჩა, № 5, და რეუტოვისა 6.

ახლად გაკეთებული დაზგები ელექტრონის მმოძრავებით. მიიღება შეკვეთა საავეჯო ყოველნაირ სამხატვრო მუშაობისა; დაწესებულებებს შეღავათიანად აუსრულებენ სამუშაოს. ქარხანაში იმყოფება საპალერო და გადასაკრავი განყოფილებანი. იყიდება დამზადებული ავეჯეულობა.

პატივისცემით **ა. ვ. კოსტანდოვი.**

## განსაკუთრებით იარაღის მაღაზია ძმ. სტეფანიანცებისა

**ტ ფ ი ლ ი ს ი, პუშკინის ქუჩა, № 9,** ძეგველოვის თ. ვზის საპ. კროს გვერდით; განყოფილებანი: სიონის ქუ'ა № 3, და **განჯაში.**



გირჩევთ შეიძინოთ

ტყვიისა და სანადირო **თოფები, რევოლვერები**

და ყოველ ნაირი **საჭირო ნივთები. ფასები ზომიერია.**

**სანადირო, სანალარო**

თოფები უნებართვოდ იყიდება ტფილისში. 255

**მისი უდიდებულესობის დიდი მთავარ ნიკოლოოზ მიხეილის ძის კარის მოვაჭრე.**

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В.ВЕЛ.КН. НИКОЛАЯ МИХАИЛОВИЧА

**შესდექ ერთ წუთით!**

**„პიკ-პიკ“-ი,**

**10 ცალი 3 კაპეიკად, 20 ცალი—6 კაპ.**

ეს პაპიროსები ყოველ დღე გამოვა გასასყიდად განსაზღვრულ რიცხვით. ყოველთვის ახალი, **განსაკუთრებით თამბაქოს საუკეთესო მცოდნეთათვის.**

სავაჭრო სახლი „**ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ-ბი.**“

**ყ ვ ე ლ გ ა ნ ი ყ ი დ ე ბ ა.** 1183

## კ ა ხ ე თ ი ს რ კ ი ნ ი ს გ ზ ა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება სააგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საავარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „**ქ**"**ვ აზის**“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

## ს ნ ე უ ლ ე ბ ს სპერმინ-პელია!

**სპერმინ პელიათი** მ.არგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დაუსაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობად ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცა ენ ჯან-საღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტინიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიით სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან** და **სხვ.,** მხოლოდ **სპერმინ პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი დამკურნალნი.

საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე „**სპერმინ-პელია**“ და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „**სპერმინს**“ ახალ ლიტერატურასთან ერთად.

„**სპერმინ-პელია**“ **იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.**

ორგანოტერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“.**

მისი იმპერატორატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე**

Мотцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი **ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

**საკუთარი სამრეწველოებიდან ახალი თევზი:**

**მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

**ახალი მსხვილ მარცვლოვანი ხიზილალა** |ქიტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზ უ რ გ ი ე ლ ე ბ ი,** სხვა ყოველნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.